# შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

# ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) მე-15 მუხლი

ფაქტობრივი ინფორმაცია

European Social Charter | Charte sociale européenne

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

## მუხლი 15 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის - ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის ბუნებისა და წარმოშობის მიუხედავად - დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ:

1. მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები უზრუნველყონ ორიენტაციით, განათლებითა და პროფესიული მომზადებით, სადაც შესაძლებელია, ზოგადი პროგრამების ფარგლებში, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – სპეციალიზებული საჯარო ან კერძო ორგანოების მეშვეობით;
2. ხელი შეუწყონ მათ წვდომას დასაქმებაზე ყველა შესაძლო ზომის მეშვეობით, რომლებიც დამსაქმებლებს წაახალისებს, დაასაქმონ და შეინარჩუნონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ჩვეულებრივ სამუშაო გარემოში, აგრეთვე, მიუსადაგონ სამუშაო პირობები მათ საჭიროებებს, და თუ ეს შეუძლებელია შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე, უზრუნველყონ ან შექმნან დაცული სამუშაო ადგილები, შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხის გათვალისწინებით. გარკვეულ შემთხვევებში, ასეთი ზომების განხორციელება შეიძლება მოითხოვდეს დასაქმებისა და მხარდაჭერის სპეციალიზებული სამსახურების დახმარებას;
3. ხელი შეუწყონ მათ სრულ სოციალურ ინტეგრაციასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას, კერძოდ, ისეთი საშუალებებით - ტექნიკური დახმარების ჩათვლით - რომელთა მიზანია კომუნიკაციისა და გადაადგილების კუთხით ბარიერების გადალახვა და წვდომის უზრუნველყოფა ტრანსპორტზე, საცხოვრებელზე, კულტურულ საქმიანობასა და დასვენებაზე.

ქარტიის ყველა დებულება ვრცელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე. გარდა ამისა, მე-15 მუხლის ფარგლებში, ქარტია უზრუნველყოფს სპეციფიკურ უფლებებს, რომლებიც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. ქარტიის E მუხლი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას, განსაზღვრავს, რომ: „ქარტიით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, როგორიცაა რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებები, ეროვნული ან სოციალური წარმოშობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, დაბადების ადგილი და სხვა სტატუსი.“ ეს დებულება





კრძალავს დისკრიმინაციას, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით. E მუხლის ფუნქციაა, უზრუნველყოს ქარტიით გარანტირებული ყველა უფლების თანასწორად და ეფექტიანად განხორციელება, პირის ან გარკვეული ჯგუფების სპეციფიკურ მახასიათებელთა მიუხედავად.

მუხლი E კრძალავს არა მხოლოდ პირდაპირ დისკრიმინაციას, რა დროსაც ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს განსხვავებულად ეპყრობიან ყოველგვარი სათანადო დასაბუთების გარეშე, არამედ ყველა ფორმის ირიბ დისკრიმინაციასაც. ირიბი დისკრიმინაცია შესაძლოა წარმოიშვას მაშინ, როდესაც სათანადოდ და პოზიტიურად არ არის გათვალისწინებული ყველა შესაბამისი განსხვავება, ან არ მიიღება შესაბამისი ზომები, რათა ყველასთვის უზრუნველყოფილი უფლებები და კოლექტიური სიკეთეები რეალურად ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის.

მე-15 მუხლის ზოგადი მიზანია, ეფექტიანად განხორციელდეს დამოუკიდებლობისა და სოციალური ინტეგრაციის უფლებები. იგი ეფუძნება შშმ პირთა თანაბარი მოქალაქეობის იდეას და გულისხმობს, რომ თანასწორი მოპყრობა უნდა არსებობდეს არა მხოლოდ კანონში, არამედ პრაქტიკაშიც.

მე-15 მუხლი ეხება ყველა შშმ პირს, შეზღუდული შესაძლებლობის ბუნებისა და წარმომავლობის, ასევე, მათი ასაკის მიუხედავად. ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გადასვლა შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო განსაზღვრებიდან სოციალურ განსაზღვრებაზე, რომელიც ფოკუსირებულია ჯანმრთელობის მდგომარეობის, გარემო პირობებისა და პერსონალური ფაქტორების ურთიერთქმედებაზე.

## განათლებისა და მომზადების უფლება

მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ყველა შშმ პირს, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის ბუნებისა თუ წარმომავლობის მიუხედავად, აქვს პროფესიული ორიენტაციის, განათლებისა და პროფესიული მომზადების უფლება ზოგადი სქემების ფარგლებში და, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კერძო ან საჯარო სპეციალიზებული ორგანოების საშუალებით. ამ მუხლის თანახმად, პროფესიული მომზადება მოიცავს ყველა ტიპის უმაღლეს განათლებას, მათ შორის, საუნივერსიტეტოსაც. მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტი ვრცელდება არა მხოლოდ ბავშვებზე, არამედ ყველა შშმ პირზე.

ეს მუხლი ყურადღებას ამახვილებს ინკლუზიურ განათლებაზე. ინკლუზიური განათლების უფლება უკავშირდება ბავშვის უფლებას, ეფექტიანად იყოს ჩართული განათლების ზოგად სისტემაში. ინკლუზიური განათლება გულისხმობს მხარდაჭერისა და გონივრული მისადაგების უზრუნველყოფას ყველა შშმ პირისთვის, რათა მათ ეფექტიანი წვდომა ჰქონდეთ სკოლებზე. ამან შეიძლება მოიცვას: საკლასო ოთახისა და მისი მდებარეობის ადაპტაცია; სხვადასხვა ფორმის საკომუნიკაციო და საგანმანათლებლო მასალის უზრუნველყოფა; სწავლის ან შეფასების კონტექსტში ადამიანური დახმარების ან დამხმარე ტექნოლოგიის უზრუნველყოფა; არამატერიალური მისადაგებების გამოყენება, როგორიცაა მოსწავლისთვის მეტი დროის მიცემა, ფონური ხმაურის შემცირება, სენსორული გადატვირთვისადმი მგრძნობიარე დამოკიდებულება, შეფასების ალტერნატიული მეთოდების გამოყენება, ან კურიკულუმის ელემენტის ჩანაცვლება ალტერნატიული ელემენტით.

გონივრული მისადაგება სათანადოდ უნდა მოერგოს პირის ინდივიდუალურ გარემოებებსა ან სასწავლო საჭიროებებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის მიღწევადი კვალიფიკაციები უნდა იყოს სხვათა კვალიფიკაციების ტოლფასი, მიუხედავად იმისა, განათლების ზოგად სისტემაში სწავლობენ, თუ



სპეციალურში, ან უზრუნველყოფილნი იყვნენ თუ არა სპეციალური პირობებით სასკოლო გამოსაშვები გამოცდისას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებსა და სტუდენტებთან მომუშავე მასწავლებლებსა და ასისტენტებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია.

ქარტიის ამ დებულების თანახმად, აუცილებელია დისკრიმინაციის ამკრძალავი კანონმდებლობა განათლების სფეროში, რომელიც გავრცელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე. ასეთი კანონმდებლობა, სულ მცირე, უნდა ითხოვდეს დამაჯერებელ დასაბუთებას სპეციალური ან სეგრეგირებული საგანმანათლებლო სისტემების არსებობისთვის და უზრუნველყოფდეს ეფექტიანი დაცვის მექანიზმს პირებისთვის, რომლებიც უკანონოდ გამოირიცხებიან ან განცალკევდებიან, ან რომლებსაც სხვაგვარად ჩამოერთმევათ ეფექტიანი საგანმანათლებლო უფლება.

## დასაქმების უფლება

ეს დებულება  სახელმწიფოებს ავალდებულებს, ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის (ფიზიკური და/ან ინტელექტუალური/ ფსიქოსოციალური) მქონე პირთა თანასწორ და ეფექტიან წვდომას ღია შრომის ბაზარზე.kij,7

სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა, თავიანთი შეხედულებისამებრ იმოქმედონ ამ მიზნის მისაღწევი ზომების მიღებისას. თუმცა, აუცილებელია ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, რეალურად თანასწორი შესაძლებლობების შესაქმნელად ღია შრომის ბაზარზე. ქარტიის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ანტიდისკრიმინაციულმა კანონმდებლობამ უნდა მოიცვას სამუშაო პირობების ადაპტაცია (გონივრული მისადაგება) და არსებობდეს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის მექანიზმი იმ პირებისთვის, რომლებმაც უკანონოდ განიცადეს დისკრიმინაცია. გარდა ამისა, დამსაქმებლებს უნდა ეკისრებოდეთ ვალდებულება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის უზრუნველყონ ეფექტიანი წვდომა დასაქმებაზე და ისინი შეინარჩუნონ სამუშაო ადგილზე.

ქარტიის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი მოითხოვს, რომ შშმ პირები დასაქმდნენ ჩვეულებრივ სამუშაო გარემოში. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება დაცული დასაქმების გათვალისწინება, რომლის მიზანიც უნდა იყოს დასაქმებულთა დახმარება შრომის ღია ბაზარზე გადასვლაში. დაცული დასაქმების იმ დაწესებულებებში მომუშავე პირებს, სადაც წარმოება ძირითადი საქმიანობაა, უნდა ჰქონდეთ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი გარანტიები, განსაკუთრებით, სამართლიანი ანაზღაურებისა და პროფკავშირში გაწევრიანების უფლებები.

## სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება

მე-15 მუხლის მესამე პუნქტი სახელმწიფოებს ავალდებულებს თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავებას შეზღუდული შესაძლებლობის კონტექსტში: მათ შორისაა პოზიტიური სამოქმედო ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისა და სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. ასეთ ზომებს უნდა ჰქონდეს მკაფიო სამართლებრივი საფუძველი, ამასთანავე, ისინი უნდა იყოს კოორდინირებული.

ეს დებულება მოითხოვს ყოვლისმომცველი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს დაცვის ეფექტიან მექანიზმებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე



პირებისთვის, როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში (მათ შორის, საცხოვრებლის, ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციების, კულტურული და დასვენების აქტივობების კუთხით), ასევე, ეფექტიან სამართლებრივ დაცვას პირებისთვის, რომლებსაც უკანონოდ მოეპყრნენ დისკრიმინაციულად.

მე-15 მუხლის მესამე პუნქტი სახელმწიფოებს ავალდებულებს ზომების მიღებას, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა შეძლონ დამოუკიდებლად ცხოვრება საზოგადოებაში. ეს მოიცავს ფინანსური და პერსონალური დახმარების გაწევას, ტექნიკურ საშუალებათა უზრუნველყოფას და დიდი ინსტიტუციების ეტაპობრივ დახურვას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები გათვალისწინებული უნდა იყოს საბინაო პოლიტიკის ფარგლებშიც, მათ შორის, სათანადო რაოდენობის შესაბამისი საზოგადოებრივი, სოციალური ან კერძო საცხოვრებლების მშენებლობისას. გარდა ამისა, უნდა გამოიყოს ფინანსური დახმარება არსებულ საცხოვრებელთა ადაპტირებისათვის.

საჯარო ტრანსპორტი (სახმელეთო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო), ყველა ახალაშენებული ან განახლებული საზოგადოებრივი შენობა, ობიექტი და საზოგადოებისთვის ღია შენობა, ასევე, კულტურული და დასასვენებელი აქტივობები, უნდა იყოს ფიზიკურად ხელმისაწვდომი.

აუცილებელია ზომების მიღება ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე წვდომის ხელშესაწყობად.

ქარტიის მე-15 მუხლის მესამე პუნქტი ასევე მოითხოვს შშმ პირთა მოსაზრებების გათვალისწინებას შეზღუდული შესაძლებლობის კოორდინირებული პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და გადახედვის პროცესში.

მხარე სახელმწიფოთა ვალდებულება, მიიღონ ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრული სოციალური ჩართულობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშესაწყობად, მჭიდროდ უკავშირდება შშმ პირთა შორის სიღარიბის შესამცირებელ და აღმოსაფხვრელ ზომებს. ქარტიის 15 (3) მუხლით განსაზღვრული მხარე სახელმწიფოთა ვალდებულებების განხილვისას, გათვალისწინებულია შშმ პირთა სიღარიბის დონე.

## ევროპის სოციალური ქარტიის 23-ე და მე-11 მუხლები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებთან მიმართებით ასევე მნიშვნელოვანია ქარტიის 23-ე მუხლი ხანდაზმულთა უფლებების შესახებ და მე-11 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაცვის უფლებას. 23-ე მუხლის შესაბამისად, უნდა არსებობდეს ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ითვალისწინებს ხანდაზმულთა მხარდაჭერას გადაწყვეტილების მიღებაში. დაცული უნდა იყოს მათი უფლება, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები. არ უნდა ჩაითვალოს, რომ ხანდაზმულებს არ შეუძლიათ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება ჯანმრთელობის გარკვეული მდგომარეობის ან შეზღუდული შესაძლებლობის გამო.

მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა „ჩანაცვლებითი გადაწყვეტილების მიღება“ შეიცვალოს „გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერით“, რომელიც პატივს სცემს პირის ავტონომიას, ნებასა და არჩევანს. ეს ზომები შეიძლება იყოს ფორმალური ან არაფორმალური.

ხანდაზმულებს შეიძლება დახმარება დასჭირდეთ საკუთარი ნებისა და არჩევანის გამოხატვაში; შესაბამისად, სანამ დადგინდება, რომ არ შეუძლიათ კონკრეტული გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, გამოყენებული უნდა იყოს კომუნიკაციის ყველა შესაძლო გზა, სიტყვების, სურათებისა და ნიშნების ჩათვლით. ამ თვალსაზრისით, ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო უნდა ითვალისწინებდეს სათანადო გარანტიებს, რომლებიც თავიდან აიცილებს ხანდაზმულთა მიერ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების თვითნებურ შეზღუდვას. ხანდაზმულის სახელით მოქმედი ნებისმიერი პირი შეძლებისდაგვარად მცირე დოზით უნდა ერეოდეს მის ნებასა და უფლებებში (განმარტებითი განცხადება, 2013).



11(3) მუხლის თანახმად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის თემზე დაფუძნებული სერვისები და გატარდეს ზომები დიდი ინსტიტუციებიდან თემზე დაფუძნებულ ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებებზე გადასასვლელად.

### ➔ Relevant collective complaints

- *International Association Autism Europe v. France,* საჩივარი №13/2002, არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, 2003 წლის 4 ნოემბერი – განათლების მისაწვდომობა აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის (მუხლი 15 და 17).
- *International Federation of Human Rights (FIDH) v. Belgium,* საჩივარი №75/2011, არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, 2013 წლის 18 მარტი – საცხოვრებელი და შესაბამისი ობიექტების მისაწვდომობა განსაკუთრებულად დამოკიდებული შშმ ზრდასრულებისთვის.
- *European Action of the Disabled (AEH) v. France,* საჩივარი №81/2012, არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, 2013 წლის 11 სექტემბერი –განათლებისა და პროფესიული სწავლების მისაწვდომობა შშმ პირებისთვის (მუხლი 15 და 17).
- *Mental Disability Advocacy Center (MDAC) v. Belgium,* საჩივარი №109/2014, დასაშვებობის შესახებ და არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, 2017 წლის 10 ოქტომბერი – ინკლუზიური განათლების მისაწვდომობა ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებისთვის (მუხლი 15 და 17).
- *International Federation for Human Rights (FIDH) and Inclusion Europe v. Belgium,* საჩივარი №141/2017, არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, 2020 წლის 9 სექტემბერი - ინკლუზიური განათლების მისაწვდომობა ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებისთვის (მუხლი 15 და 17).
- *European Disability Forum (EDF) and Inclusion Europe v. France,* საჩივარი №168/2018, არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, 2022 წლის 19 ოქტომბერი – ჯანდაცვის მისაწვდომობა, ავტონომიის უფლება, სოციალური ინტეგრაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა (მუხლი 15/3); განათლების მისაწვდომობა (მუხლი 15/1).

### ➔ უახლესი დასკვნები მე-15 მუხლის შესახებ (2020)

ევროპის სოციალური ქარტია, მიღებულია 1961 წელს და გადაისინჯა 1996 წელს. ეს არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ანალოგი ეკონომიკისა და სოციალური უფლებების სფეროში. ქარტიით გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრი, რომლებიც უკავშირდება დასაქმებას, საცხოვრებელს, ჯანმრთელობას, განათლებას, სოციალურ დაცვასა და კეთილდღეობას.

პანევროპულ დონეზე არცერთი სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტი არ იცავს სოციალურ უფლებებს ისე ფართოდ და სრულფასოვნად, როგორც ქარტია.

შესაბამისად, იგი განიხილება ევროპის სოციალურ კონსტიტუციად და ადამიანის უფლებათა სისტემის განუყოფელი ნაწილია კონტინენტზე.

PREMS 077924

GEO

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. იგი შედგება 46 სახელმწიფოსგან, ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის ჩათვლით. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში კონვენციის შესრულებას ზედამხედველობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

**www.coe.int**

European Social Charter | Charte sociale européenne

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE